საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ივანე ლიპარიტის ძე (ბაღვაში)

ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში, XI ს. საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, სპასალარი, კლდეკარის ერისთავი. გადახვეწილი იყო ბიზანტიაში ბაგრატ IV-გან შერისხულ და ბერად აღკვეცილ მამასთან, ლიპარიტ IV-თან, ერთად. ამ უკანასკნელის თხოვნით, 1059 საქართვ. მეფემ შეიწყნარა ი. ლ. ძ., დაუბრუნა მამაპაპეული მამული და სპასალარად დანიშნა. ერთხანს იგი ერთგულად ემსახურებოდა ბაგრატ IV-ს, დიდი პოლიტ. უფლებები მოიპოვა და ეკონომიკურადაც გაძლიერდა. ალფ-არსლანის შემოსევების დროს (იხ. ალფ-არსლანის ლაშქრობანი საქართველოში 1064, 1068) ი. ლ. ძ. მეთაურობდა ალფ-არსლანთან მეფის სამოციქულო მისიას.

1069 დაამარცხა განძის ამირა ფალდონი. 1073 კი ისევ მეფის მოწინააღმდეგეთა რიგებში ჩადგა – აუჯანყდა გიორგი II-ს, კახელები მოიშველია და ქსნისპირა ადგილები დაიჭირა. გიორგი II იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო: ი. ლ. ძ-ს სამშვილდე უბოძა, მის შვილს ლიპარიტს კი – ლოწობანი. 1074 ი. ლ. ძ. ისევ განუდგა მეფეს, მაგრამ ამჯერად კახელები გიორგი II-ს მიემხრნენ და იგი იძულებული გახდა მეფეს დაზავებოდა. შემდეგ ი. ლ. ძ-მ ქ. გაგი გამოსტაცა მეფის მეციხოვნეებს და საქართვ. მტერს განძის ამირა ფადლონს მიჰყიდა. დაახლ. 1074 კი მორჩილებით ეახლა საქართველოს ასაოხრებლად მოსულ თურქ-სელჩუკების სულთან მელიქ-შაჰს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ი. ლ. ძ. გამოიპარა. 1080 მელიქ-შაჰი შეესია საქართველოს და ი. ლ. ძ. ოჯახიანად ტყვედ ჩაიგდო. შემდეგ იგი წყაროებში აღარ იხსენიება.

წყარო: მატიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, წგ.: ქართლის ცხოვრება, მთ. რედაქტ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

ლიტ.: კ ო პ ა ლ ი ა ნ ი ვ., საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970–1070 წლებში, თბ., 1969; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი რ., შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII ს.), თბ., 1973; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.3, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, წგ. 2, თბ., 1965.

რ. მეტრეველი